ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა

დამკვეთი: შპს „ვახუშტი ბაგრატიონის 1“

ს.კ: 405408107

მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №70



თბილისი 2021

შპს „კარიატიდა“ „CARYATID“ LTD

01.12.2021 წელი

ქ. თბილისში ვ. ბაგრატიონის ქ. №1-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდებარე ნაგებობებზე ზეგავლენის შეფასება

შპს „კარიატიდას“ დირექტორი ზ. გუბელიძე

№034 „26“ ნოემბერი 2021 წ.
№ტე 12-2021

თბილისი
2021

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

სარჩევი

1 შესავალი ---------- 4

1.1 დამკვეთის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია ---------- 4

1.2 გამოკვლევის დანიშნულება ---------- 5

2 ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №1-ში ასაშენებელი მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მიმდებარე ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევა და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება ---------- 6

3. ქ. თბილისში, ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №1-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) სამშენებლო სამუშაოების ზეგავლენის შეფასება მიმდებარე ნაგებობებზე და კომუნიკაციებზე ---------- 11

4 გამოკვლევის შედეგების ანალიზი ---------- 19

5 საექსპერტო დასკვნა ---------- 21

6 გამოყენებული ნორმატიული და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტაციის ჩამონათვალი ---------- 22

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

1. შესავალი

სამუშაო შესრულებულია შპს „კარიატიდას“ (ს.კ. 405274251) მიერ, შპს „ვახუშტი ბაგრატიონის 1“ (ს.კ. 405408107) დაკვეთით (ხელშეკრულება №034, 26.11.2021 წ).

სამუშაოს მიზანია ქ. თბილისში, ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №1-ში ასაშენებელი მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მშენებლობის პროცესის ზეგავლენის გამოკვლევა მიმდებარე ნაგებობებზე და მომზადებული იქნა შესაბამისი საექსპერტო დასკვნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №1-ში მდებარე საპროექტო შენობას (ს/კ 01.13.07.002.097) ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება ლუკოილის ბენზინგასამართი სადგური, დასავლეთიდან მხრიდან ნ. ბარათაშვილის სახელობის მარცხენა სანაპირო, სამხრეთიდან უსახელო ჩიხი, ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №3-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი (ს/კ 01.13.07.002.042), ვ. ბაგრატიონის ქ. №3ა-ში არსებული მრავალსართულინი საცხოვრებელი კორპუსი (ს/კ 01.13.07.002.038) და დიდუბის (ყოფილი მაიაკოვსკის ქუჩა) ქ. №6-ში მდებარე ერთსართულიანი ნაგებობა (ს/კ 01.13.07.002.028).

1.1. დამკვეთის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია

დამკვეთის მიერ საექსპერტოდ წარმოდგენილია შემდეგი საპროექტო დოკუმენტაცია:

- ქ. თბილისში, ვ. ბაგრატიონის ქ. №1-ში (ს/კ 01. 01.13.07.002.097) მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შედეგები, შემსრულებელი ინჟინერ-გეოლოგები მ. ყიფშიძე; ა. პასიკაშვილი.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

- ქ. თბილისში, ვ. ბაგრატიონის ქ. №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის შემუშავებული მუშა პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, შემსრულებელი ინჟინერ-კონსტრუქტორი გ. რეხვიაშვილი;
- ქ. თბილისში, ვ. ბაგრატიონის ქ. №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მზიდი კონსტრუქციების საანგარიშო კომპიუტერული მოდელი და ანგარიში, შემსრულებელი ინჟინერ-კონსტრუქტორი ალ. ლებანიძე;
- ქ. თბილისში, ვ. ბაგრატიონის ქ. №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი - შემსრულებელი ბ. გოგოლაური.

1.2 გამოკვლევის დანიშნულება

ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოკვლევებისათვის შესრულებულ სამუშაოთა დანიშნულებაა:

1. ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №1-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მშენებლობის პროცესის, მიმდებარე ნაგებობებზე ზეგავლენის სფეროს დადგენა;
2. ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №1-ში ასაშენებელი მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მიმდებარე ნაგებობების ვიზუალური გამოკვლევა და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება;
3. ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №1-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მშენებლობის პროცესის ზეგავლენის შეფასება მიმდებარე ნაგებობებზე და კომუნიკაციებზე;
4. გამოკვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე საექსპერტო დასკვნის მომზადება.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

2. ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №1-ში ასაშენებელი მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მიმდებარე ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევა და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება

წინამდებარე პარაგრაფში მოყვანილია ვ. ბაგრატიონის ქ. №1-ში ასაშენებელი მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) მიმდებარე ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევის შედეგები და მათი ანალიზი. დაფიქსირებულია და აღწერილია აღნიშნული შენობის მზიდი კონსტრუქციების დაზიანებები, შეფასებულია მათი ტექნიკური მდგომარეობა.

საპროექტო შენობას, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება ლუკოილის ბენზინგასამართი სადგური, დასავლეთიდან მხრიდან მტკვრის მარცხენა სანაპირო, სამხრეთიდან უსახელო ჩიხი, ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები (ს/კ 01.13.07.002.038; ს/კ 01.13.07.002.042) და დიდუბის (ყოფილი მაიაკოვსკის ქუჩა) ქ. №6-ში მდებარე ერთსართულიანი ნაგებობა (ს/კ 01.13.07.002.028). ამასთან ლუკოილის ბენზინგასამართი სადგური დიდი მანძილითაა დაშორებული საპროექტო ნაგებობისაგან. შესაბამისად მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების (მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ) მიხედვით, იგი საპროეტო შენობის სამშენებლო სამუშაოების გავლენის სფეროში არ შემოდის.

სამშენებლო სამუშაოების გავლენის სფეროში, აღნიშნული დადგენილების მიხედვით, შედის მხოლოდ ვ. ბაგრატიონის ქ. №3-ში არსებული შენობა (ს/კ 01.13.07.002.042), ვ. ბაგრატიონის ქ. №3ა-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი (ს/კ 01.19.07.002.038), დიდუბის (ყოფილი მაიაკოვსკის) ქ. №6-ში მდებარე ერთსართულიანი ნაგებობა (ს/კ 01.13.002.028), მტკვრის მარცხენა სანაპირო ქუჩის მომიჯნავე ნაწილი და უსახელო ჩიხი.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

ვ. ბაგრატიონის ქ. №3-ში არსებული მრავალსართულიანი შენობა (ს/კ 01.13.07.002.042) დანიშნულების მიხედვით საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს (სურ. 1). ნაგებობა უახლოეს პერიოდშია აშენებული. მას გააჩნია მიწისქვეშა სართული, რომელშიც ავტოფარეხია განთავსებული (სურ. 3, 4).

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიან ნაგებობას წარმოადგენს, ხისტი კვანძებით, რომელიც თავის თავზე იღებს სტატიკურ და დინამიკურ დატვირთვებს. სართულშუა გადახურვები მონოლითური რკინაბეტონის რიგელებით და ფილებითაა მოწყობილი. პერიმეტრის კედლების შევსება წვრილი სამშენებლო ბეტონის ბლოკების წყობითაა შესრულებული. შენობის კედლების შევსება გავლენას არ ახდენს შენობის სიხისტეზე და მზიდუნარიანობაზე. მიწისქვეშა ნაწილი პერიმეტრზე მონოლითური რკინაბეტონის კედლებითაა შემოსაზღვრული.

შენობის ვიზუალური გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ვ. ბაგრატიონის ქ. №3-ში არსებული მრავალსართულიანი შენობის კონსტრუქციული სქემა და მოცულობით გეგმარებითი გადაწყვეტა აკმაყოფილებს რვაბალიანი სეისმურობის რაიონებისათვის ნორმატიული დოკუმენტის [1] მოთხოვნებს.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად შენობის ფასადის კედლებზე არც ერთი მხრიდან არ შეინიშნება რაიმე ტიპის დაზიანება და ბზარები. შენობის მობათქაშება არსად არ არის დაზიანებული და ჩამოცვენილი.

ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური დათვალიერების შედეგად მათზე საძირკვლების ჯდომით გამოწვეული რაიმე ტიპის დაზიანება, დეფორმაციები, ბზარები, ჩამოტეხვები არ შეინიშნება. მონოლითურ რკინაბეტონის კონსტრუქციებზე არ ფიქსირდება ბეტონის განშრევებული ზონები, არ არის დაზიანებული ბეტონის დამცავი შრეები.

აქედან გამომდინარე **თბილისში, ვ. ბაგრატიონის ქ. №3-ში არსებული მრავალსართულიანი შენობის ვიზუალური გამოკვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [3], დანართი V, პარაგრაფი 5.1.3-ის (დაზიანებათა**

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

კლასიფიკაციის სეისმური ინტენსივობის MCK-64 შკალა) მიხედვით აღნიშნული ნაგებობის დაზიანებები I ხარისხისაა (მსუბუქი დაზიანება).

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [8], დანართი II, ცხრილი II-2-ს მიხედვით აღნიშნული შენობის მზიდი კონსტრუქციები ნორმალურ მდგომაარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება I კატეგორიას.

ვ. ბაგრატიონის ქ. №3ა-ში მდგარი მრავალსართულიანი კორპუსი (ს/კ 01.13.07.002.038) დანიშნულების მიხედვით საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს (სურ. 2). ნაგებობა უახლოეს პერიოდშია აშენებული. ასევე მას გააჩნია მიწისქვეშა სართული, რომელშიც ავტოფარეხია განთავსებული (სურ. 3, 4).

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიან ნაგებობას წარმოადგენს, ხისტი კვანძებით, რომელიც თავის თავზე იღებს სტატიკურ და დინამიკურ დატვირთვებს. სართულშუა გადახურვები მონოლითური რკინაბეტონის რიგელებით და ფილებითაა მოწყობილი. პერიმეტრის კედლების შევსება წვრილი სამშენებლო ბეტონის ბლოკების წყობით არის შესრულებული. შენობის კედლების შევსება გავლენას არ ახდენს შენობის სიხისტეზე და მზიდუნარიანობაზე. მიწისქვეშა ნაწილი პერიმეტრზე მონოლითური რკინაბეტონის კედლებით არის შემოსაზღვრული.

შენობის ვიზუალური გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ვ. ბაგრატიონის ქ. №3ა-ში მდგარი მრავალსართულიანი კორპუსის კონსტრუქციული სქემა და მოცულობით გეგმარებითი გადაწყვეტა აკმაყოფილებს რვაბალიანი სეისმურობის რაიონებისათვის ნორმატიული დოკუმენტის [1] მოთხოვნებს.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად შენობის ფასადის კედლებზე არც ერთი მხრიდან არ აღენიშნება რაიმე ტიპის დაზიანება და ბზარები. შენობის მობათქაშება არსად არ არის დაზიანებული და ჩამოცვენილი.

ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური დათვალიერების შედეგად მათზე საძირკვლების ჯდომით გამოწვეული რაიმე ტიპის დაზიანება, დეფორმაციები,

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

ბზარები, ჩამოტეხვები არ შეინიშნება. მონოლითურ რკინაბეტონის კონსტრუქციებზე არ ფიქსირდება ბეტონის განშრევებული ზონები, არ არის დაზიანებული ბეტონის დამცავი შრეები.

აქედან გამომდინარე **თბილისში, ვ. ბაგრატიონის ქ. №3ა-ში მდგარი მრავალსართულიანი კორპუსის (ს/კ 01.13.07.002.038) ვიზუალური გამოკვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [3], დანართი V, პარაგრაფი 5.1.3-ის (დაზიანებათა კლასიფიკაციის სეისმური ინტენსივობის MCK-64 შკალა) მიხედვით აღნიშნული ნაგებობის დაზიანებები I ხარისხისაა (მსუბუქი დაზიანება).**

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [8], დანართი II, ცხრილი II-2-ს მიხედვით აღნიშნული შენობის მზიდი კონსტრუქციები ნორმალურ მდგომაარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება I კატეგორიას.

საპროექტო შენობის აღმოსავლეთით დიდუბის (ყოფილი მაიაკოვსკის ქუჩა) ქ. №6-ში მდებარე ერთსართულიანი შენობის (ს/კ 01.13.07.002.028) მზიდი კონსტრუქციები ლითონის ელემენტებით შესრულებული ნაგებობაა, რომლის კედლების შევსება და გადახურვა სენდვიჩპანელებითაა მოწყობილი (სურ. 5, 6, 7). ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებზე არავითარი ძალოვანი დაზიანება არ ფიქსირდება. მათზე არ აღინიშნება აგრეთვე საძირკვლების ჯდომით გამოწვეული არავითარი დაზიანება და დეფორმაცია.

აქედან გამომდინარე დიდუბის (ყოფილი ა. მაიაკოვსკის ქუჩა) ქ. №6-ში მდებარე ერთსართულიანი შენობის (ს/კ 01.13.07.002.028) მზიდი კონსტრუქციები ნორმალურ მდგომაარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება I კატეგორიას.

უსახელო ჩიხი საპროექტო ნაგებობას სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება. ჩიხის გზის სავალი ნაწილი ერთ დროს იყო მოასფალტებული. ასფალტის საფარი ზოგიერთ უბანზე ძლიერ დაზიანებულია (სურ. 12), დანარჩენ უბნებზე კი საერთოდ აღარ არსებობს. ჩიხის გზის სავალ ნაწილზე გრუნტის ჩაქცევა არ ფიქსირდება.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

დასავლეთიდან საპროექტო შენობას მტკვრის მარცხენა სანაპირო ესაზღვრება. სანაპიროს გზის საფარი და ტროტუარები მოასფალტებულია (სურ. 11). კომუნიკაციის გზის საფარის ვიზუალური დათვალიერების შედეგად მასზე ფუძის ჯდომით გამოწვეული რაიმე ტიპის დაზიანება, დეფორმაციები, ბზარები, ჩაქცევები არ შეინიშნება. მხოლოდ ერთ უბანზე არის დაზიანებული და ჩამოქცეული ტროტუარის მიმდებარე ზონაში გრუნტის დამჭერი ბეტონის კედელი (სურ. 10).

შესაბამისად საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტის [8], დანართი II, ცხრილი II-2-ს მიხედვით საპროექტო შენობის მომიჯნავე ზონაში მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქუჩის კონსტრუქცია დამაკმაყოფილებელ მდგომაარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ამასთან ერთად მართალია ლუკოილის ბენზინგასამართი სადგური (სურ. 8, 9) არ შემოდის საპროექტო შენობის მშენებლობის გავლენის სფეროში, მაინც მოხდა მისი ვიზუალური დათვალიერება და დადგინდა, რომ ნაგებობის კონსტრუქციები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

3. ქ. თბილისში, ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №1-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (ს/კ 01.13.07.002.097) სამშენებლო სამუშაოების ზეგავლენის შეფასება მიმდებარე ნაგებობებზე და კომუნიკაციებზე

პროექტით წარმოდგენილი ვ. ბაგრატიონის ქ. №1-ში საპროექტო შენობის (ს/კ 01.13.07.002.097) მუშა პროექტი დამუშავებულია დამკვეთის (შპს „ვახუშტი ბაგრატიონის 1“) მიერ მოწოდებული საპროექტო დავალების, საინჟინრო ნაწილის, არსებული შენობის და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების საფუძველზე.

მუშა პროექტის მიხედვით ვ. ბაგრატიონის ქ. №1-ში მრავალფუნქციურ საცხოვრებელ კომპლექსს (ს/კ 01.13.07.002.097) გეგმაში რთული ფორმა აქვს.

სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ჩატარდა 2021 წლის აპრილ-მაისში შპს „გეოინჟკომპლექსის“ მიერ. გამოკვლევის მიზანი იყო სარეკონსტრუქციო შენობის დაფუძნების პირობების დადგენა.

პირობით ნიშნულს ∇±0.00 (I სართულის იატაკის დონე), შეესაბამება აბსოლიტური ნიშნული ∇410.30. ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ტოპოგეგმა 1:500 ზომსადარით, რომელზეც დატანილია შურფ-ბურღილების განლაგება და შესრულებულია მათი გეგმიურ-სიმაღლითი მიბმა.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ სამშენებლო უბანზე და მის მიმდებარედ საშიში გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევა და ა.შ.) არ აღინიშნება. თუმცა არახელსაყრელ ფაქტორს წარმოადგენს ტექნოგენური გრუნტის შედარებით დიდი სიმძლავრე (5-6მ), რომელიც სეისმურად III კატეგორიას მიეკუთვნება და სეისმურადაც არახელსაყრელ ფაქტორს წარმოადგენს. ასევე ჰიდროლოგიური თვალსაზრისით არახელსაყრელი ფაქტორია გრუნტის წყლის მაღალი დონე.

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, СНиП 1.02.07-87-ს მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, სამშენებლო მოედანი განეკუთვნება III კატეგორიას (რთული).

ჰიდროლოგიური პირობების მიხედვით საკვლევი უბანი ხასიათდება გრუნტის წყლების არსებობით, რომელიც მიწის ზედაპირიდან 1,8-5,8მ-ის ფარგლებში გამოვლინდა ყველა ჭაბურღილში. დამყარდა 1,4-5,4მ-ის ფარგლებში. არსებული გრუნტის წაყალი წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციის შედეგს, რომელიც დამატებით ტექნოგენური წყლებითაც იკვებება.

საველე სამუშაოების და ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემების ანალიზის საფუძველზე აგებული იქნა გამოსაკვლევი ტერიტორიის გამონამუშევრების სვეტების ლითოლოგიური და გეოლოგიური ჭრილები. უბნის ამგები გრუნტებში გამოიყო ექვსი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (**სგე**).

I სგე - ტექნოგენური გრუნტი (ნაყარი გრუნტი) (ფენა 1);

II სგე - თიხნარი (ფენა 2);

III სგე - მსხვილნატეხოვანი გრუნტი (ფენა 3);

IV სგე - ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 4);

V სგე - გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 5);

VI სგე - სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 6).

პროექტის მიხედვით შენობის დაფუძნება ხდხებაა VI სგე-ზე (ფენა 6), რომლის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია: ბუნებრივი სიმკვრივე ρ=2,33გ/სმ^3; სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rc,n=120კგძ/სმ^2. დრეკადობის (იუნგის) მოდული $E_{დრ.}$=3252მპა; საგების კოეფიციენტი k=100კგ/სმ^3; პუასონის კოეფიციენტი μ=0,20.

სამშენებლო ნორმებისა და წესების, პნ. 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“, შესაბამისად, საქართველოს სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით, სამშენებლო

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

მოედანი განეკუთვნება 8 ბალიან ზონას. ტერიტორიის ფუძე-გრუნტების სეისმური თვისებების გათვალისწინებით უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებით მიეკუთვნება II კატეგორიას, აქედან გამომდინარე სამშენებლო უბნის სეისმურობა განისაზღვრა 8 ბალით. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.17.

პროექტის მიხედვით ვ. ბაგრატიონის ქ. №1-ში მრავალფუნქციურ საცხოვრებელ კომპლექსს (ს/კ 01.13.07.002.097) გეგმაში რთული გეომეტრიული ფორმა აქვს. ნაგებობა შედგება ხუთი ნაკვეთურისაგან (C_1, C_2, C_3, D და E ბლოკი. ნახ. 1), რომლებიც ერთმანეთისაგან ანტისეისმური დეფორმაციული ნაკერითაა გამოყოფილი.

საპროექტო შენობა ხასიათდება ცვალებადი ვერტიკალური გეგმარებით, კერძოდ:

- C_1 ბლოკი ±0,00 ნიშნულს ზევით შედგება 12 სართულისგან, ხოლო ±0,00 ნიშნულს ქვევით 2 მიწისქვეშა და 1 მიწისზედა სართულისგან;
- C_2 ბლოკი ±0,00 ნიშნულს ზევით შედგება 19 სართულისგან, ხოლო ±0,00 ნიშნულს ქვევით 2 მიწისქვეშა და 1 მიწისზედა სართულისგან;
- C_3 ბლოკი ±0,00 ნიშნულს ზევით შედგება 18 სართულისგან, ხოლო ±0,00 ნიშნულს ქვევით 2 მიწისქვეშა და 1 მიწისზედა სართულისგან;
- D ბლოკი ±0,00 ნიშნულს ქვევით 2 მიწისქვეშა სართულისგან;
- E ბლოკი ±0,00 ნიშნულს ქვევით 2 მიწისქვეშა და 1 მიწისზედა სართულისგან.

უბნის გეოლოგიური აგებულებიდან და დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ნაგებობის საძირკვლები წარმოდგენილია მონოლითური რკინაბეტონის 1200მმ ფილის სახით (ბეტონის კლასი B25). საძირკვლის ქვეშ ეწყობა 100მმ სისქის ბეტონის მომზადება (ბეტონის კლასი B10).

კონსტრუქციული თვალსაზრისით ნაგებობა ჩარჩოკავშირებიან სისტემას წარმოადგენს, რომლის მზიდი კარკასი შედგება მონოლითური რკინაბეტონის სვეტებისა და რიგელებისაგან ხისტი კვანძებით და მათ გააჩნიათ მძლავრი დიაფრაგმები. დიაფრაგმების კედლის სისქე 400მმ. სარდაფის პერიმეტრის კედლების სისქე 300მმ და

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

400მმ-ია. მონოლითური რკინაბეტონის სვეტები და რიგელები სხვადასხვა განიკვეთისაა. მონოლითური რკინაბეტონის სართულშუა გადახურვის ფილები სისქით 200მმ-ია. მონოლითური რკინაბეტონის კიბის ჩანები სისქით 180მმ.

რკინაბეტონის კონსტრუქციებში პროექტით გათვალისწინებულია A500c და A240c კლასის არმატურის გამოყენება.

სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობებიდან გამომდინარე გრუნტის წყლების მაღალი დონის არსებობის გამო გამართლებულია პროექტში მოყვანილი რეკომენდაცია ნაგებობის რკინაბეტონის მიწისქვეშა კონსტრუქციულ ელემენტებში, Гост 22266-94 „Цементы сульфатостойкие“-ის მიხედვით, სულფატომედეგ ცემენტებზე დამზადებულ W_6 წყალშეუღწევადობის ბეტონის გამოყენების აუცილებლობაზე.

შენობის საანგარიშო კომპიუტერული მოდელის და კონსტრუქციული ნაწილის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ იგი შესრულებულია საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების, სამშენებლო ნორმები და წესების, „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09); „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (პნ 03.01-09); „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08)-ს სრული დაცვით, შესაბამისად აღნიშნული ნაგებობა არავითარ საშიშროებას არ შეუქმნის მეზობელი შენობების და კომუნიკაციების მდგრადობას და უსაფრთხო ექსპლოატაციას.

ქვაბულის პროექტში, რომელიც შესრულებულია ნორმატიული დოკუმენტების СНиП 3.02.01-87 „Земляные сооружения, основания и фундаменты“ მოთხოვნების სრული დაცვით, ინჟინერ-გეოლოგების რეკომენდაციების მიხედვით (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასვნა), გათვალისწინებულია ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ქვაბულის ფერდების მდგრადობას და ქვაბულის მომიჯნავედ გამავალ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქუჩის და უსახელო ჩიხის უსაფრთხო ექსპლოატაციას, ვ. ბაგრატიონის ქუჩაზე №3-ში (ს/კ 01.13.07.002.042); ვ. ბაგრატიონის ქ. №3ა-ში (ს/კ 01.13.07.002.038) და დიდუბის (ყოფილი მაიაკოვსკის ქუჩა) ქ. №6-ში (ს/კ 01.13.07.002.028) მდებარე შენობების

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

მდგრადობას და უსაფთხოებას (იხ. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. ქვაბულის პროექტი).

ქვაბულის კედლის გასამაგრებლად და საპროექტო შენობის ფუძეში განვითარებული ძაბვების გავლენისგან მომიჯნავედ არსებული შენობების დაცვის მიზნით ეწყობა მონოლითური რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების ფარდა (ბეტონის კლასი B25). ხიმინჯების ფარდა ეწყობა მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქუჩის გასწრივ „1“-დან „40“-მდე, „40“ღერძის გასწვრივ „ა“ღერძიდან „ქ“ ღერძამდე, „ქ“ღერძის გასწრივ „33“ და „40“ ღერძებს შორის და ვახუშტი ბაგრატიონის № 3-ში მდებარე შენობის მომიჯნავე ზონაში „1“-დან „8“ ღემამდე. ქვაბულის ძირის ნიშნული ∇-13,4მ, ხოლო მიწის ზედაპირის ნიშნული ∇-4.0მ. ხიმინჯების დიამეტრი Ø=600მმ-ა, ხიმინჯების სიგრძე L=11000-12500მმ, ხიმინჯების ბიჯი თითოეულ რიგში 900მმ. ხიმინჯები თავები შეკრულია მონოლითური რკინაბეტონის 600×500მმ განივი კვეთის რკინაბეტონის შემკრავი კოჭით (იხ. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. ქვაბულის პროექტი).

პროექტში ქვაბულის ფერდების დანარჩენი ნაწილი ეწყობა გრუნტის ბუნებრივი დახრის კუთხით, СНиП 3.02.01-87 „Земляные сооружения, основания и фундаменты „-ის 3,11; 3,12; 3,15 პუნქტების და СНиП III-4-80* „Техника безопасности в строительстве (С Изменениями 1-5)“-ის თავი 9-ის მიხედვით.

ქვაბულის მოწყობა და საპროექტო ნაგებობის მშენებლობა პროექტის მიხედვით ხდება ეტაპობრივად შემდეგი თანმიმდევრობით:

- ტერიტორიის ნაგვისაგან გაწმენდის შემდეგ ხდება მონოლითური რკინაბეტონის ხიმინჯების ფარდის მოწყობა;
- სამუშაოების შესრულების შემდეგ ხდება ქვაბულში გუნტის ექსკავაცია საპროექტო ნიშნულებამდე;
- ქვაბულის ფუძე მიღებულ უნა იქნას ინჟინერ-გეოლოგის მიერ და გაფორმდეს შესაბამისი აქტი სამშენებლო წესების და ნორმების დაცვით;
- ეწყობა h=100მმ სისქის ბეტონის მომზადება (ბეტონის კლასი B10);
- საძირკვლის ფილასა და ბეტონის მომზადებას შორის ეწყობა წელვადი ჰიდროიზოლაცია;

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com

- პროექტის შესაბამისად მონტაჟდება რკინაბეტონის მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილა (ბეტონის კლასი B25);
- ამის შემდეგ ხდება მიწისქვეშა სართულის რკინაბეტონის კონსტრუქციების მონტაჟი, პერიმეტრის კედლებზე ეწყობა წელვადი ჰიდროიზოლაცია;
- შენობის პირველი სართულის ამოყვანის შემდეგ ხდება ქვაბულში გრუნტის უკუჩაყრა;
- ამ სამუშაოების შესრულების შემდეგ ხდება დანარჩენი მიწისზედა სამშენებლო სამუშაოთა განხორციელება.

მუშა პროექტის არქიტექტურული, კონსტრუქციული და საინჟინრო ნაწილის, ასევე მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შესაბამისად, სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა დაამუშაოს მშენებლობის წარმოების პროექტი საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მიხედვით, უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით. მშენებლობის წარმოების პროექტი შეთანხმებული უნდა იყოს დამკვეთთან და საპროექტო ორგანიზაციასთან.

პროექტში მოყვანილი ქვაბულის ფერდების გამაგრების სქემები და კონსტრუქციები, სამშენებლო სამუშაოთა წარმოების თანმიმდევრობა გამორიცხავს ქვაბულის კედლების ჩამოქცევას, გამორეცხვას და განაპირობებს სამშნებელო მოედნის მიმდებარე ნაგებობების (ვ. ბაგრატიონის ქუჩა №3-ში მდებარე შენობა (ს/კ 01.13.07.002.042), ვ. ბაგრატიონის ქუჩა №3ა-ში არსებული შენობა (ს/კ 01.13.07.002.038), დიდუბის (ყოფილი მაიაკოვსკის ქუჩა) ქ. №6-ში მდებარე ერთსართულიანი შენობა (ს/კ 01.13.07.002.028), ლუკოილ ჯორჯიას ბენზინგასამართი სადგური) და კომუნიკაციების (მტკვრის მარცხენა სანაპირო და უსახელო ჩიხი) მდგრადობას და უსაფრთხო ეხსპლოატაციას.

სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტით, სამუშაოების წარმოების აუცილებლობიდან გამომდინარე, ოპტიმალურად არის დაგეგმილი უაღრესად შემჭიდროებულ სამუშაოთა წარმოების პირობებში, მოსამზადებელ პერიოდში დროებითი ნაგებობების მოწყობის, პერსონალის მობილიზაციის და სამშენებლო ტექნიკის შერჩევის ღონისძიებები.

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71 71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 597379999 Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com E-mail: caryatid.ltd@gmail.com

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის მიხედვით ქვაბულიდან გრუნტის ამოღება ხდება მცირე გაბარიტიანი უკუჩამჩიანი ექსკავატორის გამოყენებით და ხელით.

სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე გათვალისწინებულია, როგორც მშენებარე, ასევე მიმდებარე ნაგებობების მონიტორინგი.

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ხდება სამშენებლო მოედნის შემოღობვა ფარებით მოწყობილი დროებითი ღობით. უშუალოდ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების თანმიმდევრობა, სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგია და შერჩეული მანქანა-მექანიზმები სრულყოფილად იძლევა საშუალებას პროექტით გათვალისწინებული ნაგებობის კონსტრუქციების მშენებლობის პროცესი, განხორციელდეს მეზობელ ნაგებობებზე და კომუნიკაციებზე ზეგავლენის მინიმიზაციის პირობებში. პროექტში ასევე გათვალისწინებულია ღონისძიებები სამშენებლო სამუშაოების პროცესში უსაფრთხო პირობების და გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციის უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე საექსპერტოდ წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, შესრულებულია მაღალ დონეზე, როგორც შინაარსობრივად ასევე გაფორმებით და სრულ შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (СП 48.13330.2011 „Организация стройтельства“, СТО НОСТРОЙ 2.33.14-2011 „Организация стройтельного производства“) და სახელმწიფო რეგულაციების (ტექნიკური რეგლამენტი - „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №361, 2014 წ. 27 მაისი; ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა ნაგებობების უსაფრთხოების წესები“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016 წლის 28 იანვარი) მოთხოვნებთან.

ქ. თბილისში, ვ. ბაგრატიონის ქუჩა №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის მიხედვით, ყველა სამუშაოს განხორციელება ხდება საქართველოს მთავრობის 2007 წ. 28 მარტის №62 დადგენილების - „მშენებლობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც გამორიცხავს სამშენებლო პროცესის მეზობელ ნაგებობებზე ზემოქმედებას. ამიტომ პროექტში დამუშავებული რეკომენდაციები და მითითებები

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71 71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
ტელ: (032)2 335991; 597379999 Tel: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com E-mail: caryatid.ltd@gmail.com

სრულყოფილად უნდა იქნას გათვალისწინებული სამშენებლო კომპანიის მიერ, როგორც სამუშაოთა წარმოების პროექტის დამუშავებისას, ასევე უშუალოდ მშენებლობის პროცესში.

ამრიგად, ქ. თბილისში, ვ. ბაგრატიონის ქუჩა №1-ში (ს/კ 01.13.07.002.097) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მუშა პროექტი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სახელმწიფო სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და სხვა სახელმწიფო რეგულაციების სრული დაცვით. შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების პროცესი არავითარ გავლენას არ მოახდენს მიმდებარე ნაგებობების (ვ. ბაგრატიონის ქუჩა №3-ში მდებარე შენობა (ს/კ 01.13.07.002.042), ვ. ბაგრატიონის ქუჩა №3ა-ში მდებარე შენობა (ს/კ 01.13.07.002.038), დიდუბის (ყოფილი მაიაკოვსკის ქუჩა) ქ. №6-ში მდებარე ერთსართულიანი შენობა (ს/კ 01.13.07.002.028), ლუკოილ ჯორჯიას ბენზინგასამართი სადგური) მდგრადობაზე. პროექტში გატარებული ღონისძიებები განაპირობებს მტკვრის მაეცხენა სანაპიროს და უსახელო ჩიხის უსაფრთხო ექსპლოატაციას.

საქარველო, თბილისი, კოსტავას ქ.№71
ტელ: (032)2 335991; 597379999
E-mail: caryatid.ltd@gmail.com
71 Kostava Str. Tbilisi. Georgia
